დავით აღმაშენებლის მმართველობის პერიოდში სუფიები ქალაქ თბილისის ცხოვრებაში (1089 – 1125 წწ.)

მარიამ გურეშიძე
ილიას უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი.
საქართველო, 0162. თბილისი, გიორგი წერეთლის ქ. 3.
+995 551 127 85. mariagureshidze@gmail.com
ORCID: 0000-0002-9825-0651

აბსტრაქტი

ქართული ისტორიოგრაფია დავით აღმაშენებლის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდის, თუმცა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტის: „ქალაქ თბილისის [შენარჩუნება] მეფე დავით აღმაშენებლის მიერ და მისი ურთიერთობა მუსლიმებთან“, დამუშავების შემდეგ, ჩემ ანალიტიკურ ხედვას წარმოგიდგენთ. საარქივო დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დავითმა თბილისის მაცხოვრებლების გული გაახარა: ერისთავებს უბრძანა ღორები მუსლიმებთან არ დაეკლათ, მონეტა მოეჭრათ ღმერთის, მისი მოციქულისა და ხალიფის წარწერით, ქრისტიანები და მუსლიმები აბანოში ერთად არ წასულიყვნენ. დავითი შვილთან დიმიტრისთან ერთად პარასკევის დღეს მთავარ მეჩეთში ლოცვების და ყურანის კითხვის მოსასმენად

დადიოდა, „ქათიბს“ და „მოაზინს“ დასახმარებლად ბევრ ფულს აძლევდა, „ქარავან სარაი“ და მქადაგებლებისთვის სახლები ააშენა, სუფიებს და პოეტებს სარჩო დაუნიშნა. თუ კი რომელიმე მათგანს თბილისის დატოვების სურვილი გაუჩნდებოდა, გულუხვად ეხმარებოდა, გზისთვის დიდ თანხას აძლევდა. დავითი მუსლიმებს იმაზე მეტ პატივს სცემდა, ვიდრე თავად მუსლიმი მეფეები (ფონდი-1438, აღწერა-1, საქმე-394).

სტატიაში განვიხილავ, ქალაქ თბილისში მცხოვრები სუფიები საიდან შემოვიდნენ, ზოგადად კავკასიაში და რომელ თარიქათს მიეკუთვნებოდნენ.

საკვანძო სიტყვები: კავკასია, ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელი, მუსლიმები, სუფიები.

შესავალი

თავდაპირველად განვიხილოთ რატომ იყო დავით აღმაშენებლისთვის თბილისის შენარჩუნება მნიშვნელოვანი.

ქალაქი თბილისი მნიშვნელოვან სავაჭრო ადგილს წარმოადგენდა. თბილისს არაბთა მფლობელობის პერიოდშიც კი არ დაუკარგავს დიდი სავაჭრო ქალაქის მნიშვნელობა და აქ იმდროინდელი მსოფლიოს მრავალი კუთხიდან იყრიდნენ თავს ვაჭრები (ლორთქიფანიძე, 1963:228). ასე იყო დავით აღმაშენებლის შემდეგაც, თუ კი, 1228 წელს ჯალალ ად-დინის თბილისში შემოჭრას გავიხსენებთ, რუსუდანმა თბილისის, მეტეხის ციხის დაცვა ძმებ მემნონს და ბოცოს დაავალა (ფონდი – 1462, აღ – 1, დოკ – 65), ვინაიდან თბილისის აღებით მტერი სავაჭრო ქალაქს ეუფლებოდა, რითიც შემდეგ მთელ რეგიონზე გავლენის გავრცელების საშუალება ეძლეოდა.

საარქივო დოკუმენტში: გადაწერილი ტექსტი თბილისის შესახებ - „მოკლე ისტორია ქალაქ ტფილისის მოოხრებისა წარმოუდგენელი აკლებითა, რომელიც ვერაგული ომითა ქმნა აღა მეჰმედ ხანმა, რომელმაც გააქცუნა მოხუცი მეფე ქართველთა ირაკლი მეორე, წელსა უფლისასა 1795, აღნიშნულია, რომ აღა მეჰმედ ხანმა განიზრახა თავისი თვითმპრობელობის აღდგენა (განახლება) და გამეფება ყოველსა სპარსეთსა და შაჰად წოდებად. მოიწვია კრება, სადაც ყველამ მოიწონა რა მისი მოწოდება, დაპირდნენ დამორჩილებას და ყველაფერში თანამოქმედებას, ოღონდ მისი ზრახვა თავს მოსულიყო უცილობლად, იმ კრებაზე გადაწყვიტეს წარგზავნა დესპანის მეფისადმი კონსტანტინეპოლში და კეისრისადმი გერმანიისა (ეგების საფრანგეთისა), რათა მიეღო მათი თანხმობაც. ხოლო ერთი მათგანი დათანხმდა მას მთელ საქართველოზე დაპატრონებას, ხოლო მეორემ დადვა პირობა, თუ დაიპყრობ შაჰად გიწოდებ, უკეთუ ბაბილონს მიიღო რა მან პასუხი ესე, შეუდგა საქმეს“ (ფონდი - 763 აღწერა - 1 საქმე -336).

XVII ს. შუა წლებში თბილისი წარმოადგენდა ხალხმრავალ, მნიშვნელოვან სავაჭრო - სახელოსნო ცენტრს. ამას გვიდასტურებენ თანამედროვე ქართული, აღმოსავლური და ევროპული წყაროები. თბილისში თავს იყრიდნენ საქარავნო გზები, რომელთა საშუალებით სავაჭრო ურთიერთობა ხორციელდებოდა ერთი მხრივ აღმ. ამიერკავკასიის და ირანის ქალაქებთან, ხოლო მეორე მხრივ ერზრუმზე გავლით კონსტანტინოპოლთან (გაბაშვილი, 1966:184).

ევროპელი მოგზაურები და რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ თბილისს XVIII ს. საკმაოდ გაცხოველებული აღებ - მიცემა ჰქონდა არა მარტო მეზობელ ხალხებთან, არამედ რუსეთსა, სპარსეთსა და თვით შორეულ ინდოეთთან, რომ ის ქარავნებით ძვირფას ინდურ და სპარსულ შალ-

ეულობა - ფარჩეულობას, აგრეთვე ფაიფურის ჭურჭელს ღებულობდა, ხოლო თვითონ უცხოეთში სპილენძის ჭურჭელს, ცხენის მოსართავს, იარაღს, ბამბის ქსოვილს და ტყავის ნაწარმს აგზავნიდა; ქალაქს მრავალი სახელოსნო და რამდენიმე პატარა სამანუფაქტურო ფაბრიკა ჰქონდა, სადაც აბრეშუმის, მატყლის და ბამბის ქსოვილებს ამზადებდნენ. მაგრამ თბილისის ვაჭრობა მრეწველობა უცხო ელემენტის, განსაკუთრებით, სომხების ხელში იყო (ქიქოძე, 1942:122-123) საარქივო დოკუმენტის თანახმად, მტკიცდება ქიქოძის დასკვნა, კერძოდ, დავითის მიერ თბილისის აღების შემდეგ ქალაქში სომხები შემოვიდნენ, ვინაიდან მათ იცოდნენ თბილისის მნიშვნელობა სავაჭრო-სამრეწველო კუთხით და 1122 წელს თბილისში ქრისტიანული ელემენტი გაძლიერდა (ფონდი-1438, აღწერა-1, საქმე-394).

XVIII ს. 50 – 60 - იან წლებში ფრანგი მოგზაური პეისონელი წერდა: „თბილისის მდებარეობა ხდის მას სპარსეთის ყველა ქალაქის კლიტე - გასაღებად.“ მისივე ცნობით, „თბილისში ყოველდღე მიდის ქარავნები განჯიდან, შამახიდან, ერევნიდან, თავრიზიდან და არზრუმიდან. ყველამ იცის, რომ ეს ქალაქი (თბილისი) წარმოადგენს სპარსეთიდან კონსტანტინოპოლისა, სმირნისა, ალეპოს და ამ ქალაქებიდან სპარსეთში მიმავალ ქარავნების საქონელთა საწყობს. აქედან გასაგებია, რომ თბილისი მართლაც წარმოადგენდა ყველაზე უფრო ხელსაყრელ ადგილს სპარსეთიდან შავი ზღვით ვაჭრობის დასამყარებლად“ (გელოვანი, 2021:140).

ქალაქს იგივე დატვირთვა ჰქონდა 1889-1892 და 1899-1902 წლებში. თბილისში ფრანგული ჟურნალ “Le Caucase illustré” („ილუსტრირებული კავკასია“), განთავსებული იყო კარაპეტ მუტ-აფოვის სარეკლამო განცხადება, რომლის კომპანია თბილისსა და ბაქოში არსებობდა და დაკავებული იყო სპარსეთიდან ბამბის ქსოვილების, აბრეშუმის, ხალიჩების ექსპო-

რტით. ასევე ნაითისა და მატიევიჩის კომპანია, რომელიც ევროპის ქალაქებიდან სხვადასხვა სახის საქონლის ექსპორტს ეწეოდა (სანიკიძე, 2025:10).

აქედან გამომდინარე ნათელია, რატომ იყო მეფე დავით აღმაშენებლისთვის ქალაქ თბილისის შენარჩუნება ასე მნიშვნელოვანი. ქალაქს ყოველთვის უდიდესი სავაჭრო ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული და შესაბამისად მრავალი სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელი ცხოვრობდა, მათ შორის სუფიები. დავუბრუნდეთ საარქივო დოკუმენტს და თბილისში სუფიების როლი განვიხილოთ.

შედეგები

საინტერესო და საყურადღებოა, როდის და საიდან შემოვიდნენ კავკასიაში სუფიები, რა როლს ასრულებდნენ დედაქალაქ თბილისში და რატომ ექცეოდა დავით აღმაშენებელი მათ განსაკუთრებული პატივისცემით.

თუ კი გადავხედავთ სუფიზმის გავრცელების არეალს, ნათლად ჩანს, რომ იგი იმ რეგიონში, ქვეყნებსა და ქალაქებში ვრცელდებოდა სადაც სავაჭრო ურთიერთობები იყო განვითარებული. მაგ., ალ-კადირიას სუფიური თარიქათი XIV საუკუნეში სირიასა და ერაყში გავრცელდა, XV საუკუნეში ლიბანში, პალესტინაში, ეგვიპტეში და ჰიჯაზში, XVI საუკუნეში ტუნისში, ალჟირსა და მაროკოში. XVI საუკუნეში კადირიას თარიქათის წევრებმა შეაღწიეს სუდანში, სენეგალში, გვინეაში, ნიგერიასა და მავრიტანიაში. რაც შეეხება ნაკშბანდიის სუფიურ საძმოს, მის სოციალურ ბაზას ქალაქი წარმოადგენდა, მჭიდროდ იყო დაკავშირებული სავაჭრო და საწარმოო ორგანიზაციებთან. XVIII საუკუნეში შუა აზიაში მოქმედმა ნაკშბანდიის საძმომ შეაღწია ვოლგისპირეთში (ქალაქი ყაზანი) (Ислам энциклопедический словарь, 1993:126-187).

საარქივო დოკუმენტის თანახმად დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღების შემდეგ, დედაქალაქში უკვე ცხოვრობდნენ სუფიები, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქალაქის დაბრუნებამდე თბილისს 400 წელი მუსლიმები ფლობდნენ. 744 დან 1122 წლებამდე თბილისი არაბების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, მათ ქალაქში საკუთარი ემისრები ჰყავდათ, რომელთა ვალდებულებებში ქართველების მიერ ხალიფასთან ყოველწლიურად ბაღდადში გასაგზავნ ხარკზე თვალყურის დევნება წარმოადგენდა (ფონდი-1438, აღწერა-1, საქმე-394).

ცნობილია, რომ ბაღდადში 1180-1225 წელს ჩაისახა „ფუთუვეთის“ ორდენის რაინდული ორგანიზაცია (Гордлевский, 1928: 1176). აღსანიშნავია, რომ „აიარები“, „ფუთუვეთები“ და „ბათინური“ იდეებით შეპყრობილი მოხეტიალე დერვიშები და სუფიები ერთმანეთს შეუერთდნენ და ერთიანი, მსგავსი მსოფლმხედველობრივი სისტემა ჩამოაყალიბეს. რაც შეეხება „აიარებს“, სოციალურად ყველაზე აქტიურ ნაწილს წარმოადგენდნენ და იმ ხანად მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში გახშირებული თითქმის ყველა ამბოხსა და არეულობაში მონაწილეობას იღებდნენ. განსაკუთრებით XII საუკუნეში გააქტიურდნენ. არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ჯუზი „აიარების“ ამბოხებების თარიღებს გადმოგვცემს: 1097, 1100, 1104, 1119, 1121, 1122, 1136, 1138, 1140, 1141, 1158, 1169 და 1170. ხშირად დიდ წარმატებებსაც აღწევდნენ, ასე მაგალითად, 1034-1044 წწ. ბაღდადში ძალაუფლება მთლიანად „აირუნებს“ ეპყრათ. პირველი საგულისხმო დახასიათება „ჯავანმარდობისა“, რომელიც აგრეთვე გაიგივებული იყო „ფეთათა“ მოძრაობასთან, და აგრეთვე „აიარებისა“, მოცემულია სპარსული კლასიკური მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის ამირ ონსორ ალ-მაალი ქეი-ქაუსის დიდაქტიკურ თხზულებაში „ყაბუს-ნამე“, რომელიც შეიქმნა XI საუკუნის დამლევს და შვილისადმი მიძღვნილ დამრიგებლურ ტრაქტატს წარმო-

ადგენს (ჯაველიძე, 2010:123-125). მახლობელი და შუა აღმოსავ-ლეთის ქალაქებში მიმდინარე სოციალურ მოძრაობებში მონაწი-ლეობდნენ „ახალგაზრდები“ ანუ „ყმაწვილები“, რომელთა აღსა-ნიშნავად გამოყენებული იყო შესაფერისი ტერმინი „ალ-ფათა“ (მრ. „ფითიან“), „ჯევანმარდი“ (გაბაშვილი, 1981: 70). „ფუთუვვა“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „რაინდულს“, „რაინდობას“ (გაბაშვ-ილი,1966:147). შუა საუკუნეებში ისლამის სამყაროში „ფუთუვ-ეთი“ განზოგადებული სახელწოდება იყო და წარმოადგენდა ერ-თობას, კავშირს, რომელიც რიგი ნიშან-თვისებებითა და ფორ-მით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე კულტურის ყველა დონეზე იყო თვალშისაცემი და თავდაპირველად მამაკაცთა ერთგვარი გაერთიანება გახლდათ. სიტყვა „ფუთუვა“ (სპარსულად: „ფუთ-უვათი“, თურქულად „ფუთუვეთი“) არაბული წარმომავლობის არის. არაბებმა სხვადასხვა მხარეთა დაპყრობის შემდეგ ნამდ-ვილი ადამიანის იდეალის - ფათა-ს ცნება დაპყრობილ ქვეყნე-ბში გაავრცელეს, განსაკუთრებით კი ეს იდეალი დამკვიდრდა ჩრდილოეთ ირანში, კერძოდ ჰორასანში. მან ღრმად გაიდგა ფესვები ირანელ დიდგვაროვანთა წრეებში და ადგილობრივ, არსებულ ტრადიციებს შეერწყა. ხელგაშლილობა და მამაცობა მუდამ „ფუთუვეთის“ მიმდევრობის აღიარების აუცილებელი პირობა იყო. ბრძოლაში ის მეგობრისთვის სიცოცხლესაც სწი-რავდა. „ფუთუვეთის“ ახალგაზრდობის ერთობამ ორგანიზაცი-ული ფორმა მიიღო არა არაბულ სინამდვილეში, არამედ ირა-ნული ცივილიზაციის აუზში. შემდგომში მათი მხედრული სუ-ლისკვეთება მონადირეების დონემდე დავიდა, თავის უსაზ-ღვრო ტრაბახითა და კადნიერებით რომ იყვნენ გამორჩეულნი. მეტიც, მამაცი ვაჟკაცი მხოლოდ შფოთს ტეხდა და ჩხუბობდა. ის კი არა და დროდადრო ეს ვაჟკაცები ძარცვასაც არ ერიდებ-ოდნენ. „ფუთუვეთის“ საზოგადოებრივმა კავშირმა უაღრესად დიდი გავლენა მოიპოვა ფართო მასებზე და ხშირად ისეთ ძალას

წარმოადგენდნენ, რომ ძალუმად არყევდნენ სახელმწიფოების საფუძვლებს და წესრიგს (ჯაველიძე, 2010:14-19).

ვ. გაბაშვილი მიიჩნევს, რომ თბილისში მოღვაწე „რინდებსაც“ კლასობრივი ბრძოლის იმავე საშუალებებისთვის უნდა მიემართათ, რასაც მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში აღმოსავლური წყაროებიდან კარგად ცნობილი „რინდები“ მართავდნენ. „რინდთა“ გამოსვლებს თუ ამბოხებს ადგილი ჰქონდა XI ს. დამლევს და XII ს. პირველ მეოთხედში თბილისის საქართველოსთან შეერთებამდე, რადგან საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების პერიოდში საეჭვოა მათი აქტიური მოქმედება (გაბაშვილი, 1966:152).

თბილისი 1122 წლამდე არ ეკუთვნოდა საქართველოს მეფეებს და ქალაქში იმდროინდელი მოსახლეობის (იქნებ მაჰმადიანური უმეტესობის) წარმომადგენელთა ხელისუფლება ბატონობდა (მესხია, 1982:248). „ყმაწვილების“ ხელში იყო ქალაქი თბილისი, ევროპელი მკვლევარები კი “Jovens” და „ფათას“ (“fata”, “futuwwa”, “fitian”) ერთმანეთთან აიგივებენ. ამასთან დაკავშირებით ისმის კითქვა: შეეძლოთ თუ არა „ახალგაზრდებს“, ფითიანებს“, „ჯავანმარდებს“, „რინდებს“, დერვიშებს, იგულისხმება - სოციალური მოძრაობის, ან ამბოხების მონაწილე ქალაქური ელემენტები, ძალაუფლების ხელში აღება ქალაქში? ალ-ღაზალის „ნასიჰათ ალ-მულუქში“ („რჩევა-დარიგებანი მეფეთათვის“) დაცულია საინტერესო ცნობა, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ახალგაზრდებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება და შეავიწროვეს ხალხი (გაბაშვილი, 1981:74-75). ვ. გაბაშვილს შესაძლებლად მიაჩნია 1082- 1122 წწ. თბილისში შექმნილიყო ვითარება, რომ კეთილშობილთა და ვაჭართა ბატონობა არსებულიყო. ამის საბუთად გამოყენებულია „რინდის“ ნამდვილი მნიშვნელობის განმარტება და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა, რომელიც ახლად შემოერთებულ თბილისში მიმდინარე არეუ-

ლობებს ეხება. ქალაქ თბილისში მთელი ორმოცი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა ქალაქის სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენებს შორის. და იბნ ალ - ჯაუზის თანახმად მტკიცდება „რინდების“, „ფითიან“, „ჯავანმარდების“ და ჩემი მხრიდან ვამატებ დერვიშების ბატონობა, რომლებიც ჯაფარიანთა გვარის გადაშენების შემდეგ თბილისს მთელი ორმოცი წლის განმავლობაში განაგებდნენ. (გაბაშვილი, 1981:79-81). ცხადია თბილისში მცხოვრები სუფიები საკმაოდ ანგარიშ გასაწევი ძალა იყო და განვიხილოთ რომელ თარიქათს მიეკუთვნებოდნენ თბილისში მცხოვრები დერვიშები.

ყურადსაღებია, რომ მახლობელ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული იყო დერვიშობა, რომელიც თავად ისლამის წიაღში წარმოიშვა, მიიღო მეტად აგრესიული ხასიათი არსებული სახელმწიფო წყობილების, ფეოდალების და ელიტურ სასულიერო პირთა წინააღმდეგ (ჯაველიძე, 2010:8). დერვიშებს უდიდესი გავლენა ჰქონდათ ხალხზე. მუსლიმების თვალში დერვიში ისეთი სიწმინდე იყო, რომ ლამის მას ყურანზე მაღლა აყენებდა. ამიტომაც ისინი ლაღად გრძნობდნენ თავს ყველა მუსლიმურ ქვეყანაში და თავისუფლად გადაადგილდებოდნენ. წარმოადგენდნენ ყველაზე საშიშ და მოუხელთებელ პოლიტიკურ აგიტატორებს, რომლებიც არსებული სახელმწიფო წყობის წინააღმდეგ იყვნენ შემართულნი. მოხეტიალე და თავისუფალი დერვიშები ლამის ყველა ამბოხის, იქნებოდა სოფლად თუ ქალაქში, წამომწყებნი იყვნენ. ყველა ამბოხი და აჯანყება, დერვიშული იდეოლოგიის საბურველში იყო გახვეული და ატარებდა, უპირველეს ყოვლისა, ანტისუნიტურ და ანტისახელმწიფოებრივ ხასიათს (ჯაველიძე, 2010:9; გურეშიძე, 2024:195).

საარქივო დოკუმენტის თანახმად, კავკასიაში სუფიები, დერვიშები სპარსეთიდან შემოვიდნენ, მათ არ ჰქონდათ არც სახლი, არ ჰყავდათ ოჯახები, არ ფლობდნენ ქონებას. მათთვის

მნიშვნელობა არ ჰქონდა ადამიანის წარმომავლობას, იქნებოდა იგი სპარსი, თათარი, ავღანელი, ბუჰარელი, ჯუგუტი (ებრაელი), დერვიში ყველასთვის მეგობარი და კეთილისმსურველი იყო, მის მამულს მთელი მსოფლიო, ოჯახს - მთელი კაცობრიობა, სახლს - სამყარო წარმოადგენდა (ფონდი - 1438, აღ - 1, საქმე - 441). დერვიშთა დიდი ნაწილი მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა, ისინი სხვადასხვა ფერის ხირკებში გამოწყობილნი, აბგა მოკიდებულნი, ხელში ჯოხით და სამათხოვრო ჯამით, სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში დახეტიალობდნენ (ჯაველიძე, 2010:8). ქეი-ქაუსი „ჯავანმარდობის“ და მოხეტიალე დერვიშების დახასიათებას გვაძლევს. მწერლის აზრით მათ, უპირველეს ყოვლისა, სიმართლე ანუ სული ამშვენებთ, რელიგიის მეცნიერებაში განსწავლულნი არიან, მათი სიტყვა და საქმე ალალ-მართალია, არ სჩვევიათ პირფერობა, სიძუნწეს გმობენ, გულში შურს არ იკარებენ, სიბრაზეს და განრისხებას არ ავლენენ, საკუთარი გამოჩენისთვის არავის შეურაცხყოფენ, უმართებულო განაჩენი არ გამოაქვთ და ხალხს არ ავიწროებენ, უანგაროდ ეხმარებიან, ცოდვილს შეცდომისთვის არ კიცხავენ, სხვების თანდასწრებით ჭკუას არავის არიგებენ, უცხო მეცნიერებას და რელიგიურ წიგნებს არ უგულებელყოფენ. მდაბიოს დანაშაულის ჩასადენად არ წააქეზებენ“ (ჯაველიძე, 2010: 129-132). აღსანიშნავია, რომ 1854 წელს ქართველი თავადის ჭავჭავაძის სახლში, გუვერნანტი ანა დრანსე შემდეგ ფაქტს აღნიშნავს, კერძოდ, როდესაც იგი ჭავჭავაძის ოჯახთან ერთად ლეკებმა მოიტაცეს და შემდეგ იმამ შამილთან იმყოფებოდნენ, ლეკებმა მათ გამოსასყიდად მილიონი მანეთი მოითხოვეს. ეს ხმები აულში დადიოდა. რაც არც შამილს სიამოვნებდა, რადგან, როგორც ჩანს, განზრახვათა აღსრულებაში ხელს უშლიდა. ამიტომ გადაწყვიტა ერთბაშად, ერთი დარტყმით მოესპო ეს მითქმა-მოთქმა და საზოგადოებრივი აზრი ჭავჭავაძეების

ოჯახის სასარგებლოდ გადაეხარა. იმამი რამდენიმე დღით გაუ-ჩინარდა და შემდეგ თავისი არაჩვეულებრივი ღვთისმოშიშო-ბით ცნობილი დარვიში მოიყვანა; ღვთისმოსავი მეუდაბნოე ქადაგად იყო დავარდნილი, დღისითა და ღამით ლოცულობდა. რელიგიურ ექსტაზში შესული დარვიში, როგორც გვითხრეს ჩვენს სასარგებლოდ ქადაგებდა. ალაჰს ემუდარებოდა ლეკთა გონება გაენათებინა და გამოეყვანა ისინი შეცდომის სიბნელი-დან. განდეგილი მათ ჩააგონებდა - შებრალებოდათ უბედური ტყვეები და არ მოეთხოვათ შეუძლებელი გამოსასყიდი. იგი ქადაგებდა და ამგვარად დაასრულა: - რაც მთავარია, ტყვეთა გასათავისუფლებლად ნუ ითხოვთ მილიონ მანეთს. გაუშვით ეს უბედურები თავიანთ სამშობლოში, როგორც კი იმამი იმპე-რატორისგან თავის შვილს მიიღებს.(დრანსე, 1978:119-133).

ისლამის ენციკლოპედიაში აღნიშნულია, რომ დერვიშები სუფიზმში არსებული ბექთაშიას თარიქათის მიმდევრები იყვ-ნენ. განვიხილოთ ბექთაშიას თარიქათი. ბექთაშიას სუფიური საძმო, მცირე აზიაში XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე, თავდაპ-ირველად ადგილობრივ თურქულ მომთაბარე მოსახლეობაში ჩამოყალიბდა. საძმოს სახელწოდება უკავშირდება ჰაჯი ბექთაშ რუმს. სპეციალისტების აზრით, ბექთაშიას რეალური დამფუძ-ნებელი იყო მოხეტიალე მქადაგებელი (ბაბა) და ჰაჯი ბექთაშ ვალი კალანდარი (ნიშაპური ხორასანი, 1208-1270), რომელიც თავის სულიერ სილსილას (ჯაჭვს) თურქმენ შეიხ აჰმად იასავის უკავშირებდა (გარდ.1166 წ.). ჰაჯი ბექთაშმა მალე მოიპოვა ფართო პოპულარობა მცირე აზიაში. 1240 წელს აქტიური მონა-წილეობა მიიღო „თურქული თავისუფლების“ აჯანყებაში, რომე-ლსაც ხელმძღვანელობდა დერვიში-კალანდარი ბაბა-ისჰაკი, კონიის სულთან ღიას ად-დინ კაი-ხუსრაუს წინააღმდეგ (file:///C:/Users /user/Desktop/M_1991.pdf 1991:40-41 21/08/2025 4:07).

ბექთაშიას ძმობა შედგებოდა სოფლის თემისა და „მიძღვნილთა“ თემებისგან. გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ, სოფლის თემებიდან ადამიანები გადიოდნენ მიძღვნის რიტუალს, რომელსაც ასრულებდა თემის ადგილობრივი მემკვიდრეობითი ხელმძღვანელი და ძმობის წევრები ხდებოდნენ. „მიძღვნილებს“ უწოდებდნენ მათ, ვინც ძმობაში შესვლის შემდეგ სოფელში მდებარე, მაგრამ ქალაქთან ახლოს, სავანეებში ცხოვრობდნენ. ძმობის წევრები ექვს ძირითად კატეგორიად იყოფოდნენ: 1. აშიქი - ასოცირებული, მაგრამ არა მიძღვნილი წევრი. 2. მუჰიპ - ი (მუჰიბბი) - აშიქი, რომელმაც მიძღვნის ცერემონიალი გაიარა და უფლება მოიპოვა მონაწილეობა ძმობის ზოგიერთ რიტუალურ შეკრებაში მიეღო. 3. დარვიში - მუჰიპ - ი, რომელმაც უხუცესების მსახურების ეტაპი გაიარა, გზის გავლასთან დაკავშირებული უნარები შეიძინა, დადო ფიცი-აღთქმა და მიიღო ნებართვა ეტარებინა ხირკა, თაჯი და ძმობის სიმბოლური აქსესუარი. 4. ბაბა. ინიშნებოდა დედე-ბაბა ან რეგიონალური თექქედან ხალიფა, დერვიშების რიცხვიდან სპეციალური დოკუმენტით (იჯაზეთ-ნამა) როგორც ხელმძღვანელი ადგილობრივი სავანისა ან ცენტრალური (რეგიონული) თექეს განყოფილების. ბაბას უფლება ჰქონდა ეხელმძღვანელა ძმობის რიგითი წევრებისთვის (მუჰიპი, დარვიში). 5. დარვიშ-ი მუჯარრადი - ისინი, ვინც უქორწინებლობის აღთქმა მიიღო. მიძღვნის განსაკუთრებულ დახურულ რიტუალს გადიოდნენ (მუჯერრად აიინი), რომელიც სრულდებოდა დედის სავანეში, ასევე ბექთაშიას თექეში, ქერბელაში და ბალიმ-სულთანის თექქეში ანატოლიაში. ცხოვრობდნენ მხოლოდ სავანეში, იპარსავდნენ ულვაშებს, წვერს და თავს, მარჯვენა ყურში ვერცხლის ან სპილენძის საყურეს ატარებდნენ. 6. ხალიფა - ჩელების მოადგილე რეგიონალური თექქეს ხელმძღვანელის სახით, ბაბას რიცხვიდან

ინიშნებოდა (file:///C:/Users/user/ Desktop/M_1991.pdf 1991:40-41 21/08/2025 4:07).

ბექთაშიას რელიგიური დოქტრინა რთული და სინკრეტულია. ოფიციალურად იყო სუნიტური, მაგრამ მასში არსებობდა ეზოთერული მოძღვრება, რომელიც ძალზე ახლოსაა უკიდურესი შიიტების - ხურუფიტების მოძღვრებასთან. ბექთაშიას წევრებს სწამდათ სამება - ალაჰის, მუჰამედის და ალის შემადგენლობით. ალი ღმერთის განსახიერებად მიაჩნდათ (ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი 1999:44). დღესდღეობით ბექთაშები აღიარებენ შიიტურ შეხედულებებს ალი იბნ აბუ ტალიბის, წინასწარმეტყველ მუჰამედის სიძისა და ბიძაშვილის განსაკუთრებული თაყვანისცემით. მათი რელიგიური პრაქტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია ყურანის მისტიკური ინტერპრეტაცია, ასევე ზიქრის (რიტუალური ლოცვების) ჩატარება და სულიერ შეკრებებში მონაწილეობა. კვლევები აჩვენებს, რომ "ბექთაშების რიტუალები მოიცავს შიიტური და სუფიური მისტიციზმის ელემენტებს, რაც მათ უნიკალურს ხდის ისლამურ ორდენებს შორის"(https://www.sarakuehn.com/the-albanian-speaking-bektashi-order-of-dervishes21/08/2025 4:06) საგულისხმო ფაქტია, რომ თურქეთის ნაციონალურ - გამათავისუფლებელი ომის დროს ბექთაშიას თარიქათის მიმდევრები მუსტაფა ქემალ ათათურქის მხარეს დადგნენ, თუმცა მან ისინი 1925 წელს ანტისუფიური კამპანიის დროს არ დაინდო (Книш, 2004:321).

აღსანიშნავი და საგულისხმოა, რომ ბექთაშიას სუფიურ ორდენს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ალბანეთში. ბექთაშები ალბანეთში მე-15 საუკუნეში გამოჩნდნენ, როდესაც რეგიონი ოსმალეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ იყო. სარა კოენის კვლევების თანახმად, "ბექთაშებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ალბანური იდენტობისა და კულტურის ფორმირებაში". ამ დროს მათ დააარსეს მრავალი თექე (სულიერი ცენტრი), რომ-

ლებიც რელიგიური და კულტურული ცხოვრების ცენტრები გახდნენ. მე-19 საუკუნის ბოლოს - მე-20 საუკუნის დასაწყისში ბექთაშები აქტიურად მონაწილეობდნენ ალბანურ ეროვნულ მოძრაობაში. ისინი ხელს უწყობდნენ ალბანური ლიტერატურისა და განათლების განვითარებას. 1925 წელს, თურქეთში ხალიფათის გაუქმებისა და ყველა სუფიური ორდენის აკრძალვის შემდეგ, ბექთაშიას მსოფლიო ცენტრი ტირანაში გადავიდა. ამან ხელი შეუწყო მათი პოზიციების გამყარებას ალბანეთში და ახალ პირობებში ორდენის განვითარებას. ენვერ ხოჯას კომუნისტური რეჟიმის დროს ბექთაშიას ორდენი სასტიკად იდევნებოდა. ყველა რელიგიური დაწესებულება დაიხურა და პრაქტიკა აიკრძალა. Human Rights Watch-ის 1990 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ "ალბანეთის კომუნისტურმა მთავრობამ ოფიციალურად აკრძალა ყველა რელიგიური პრაქტიკა". თუმცა, 1991 წელს კომუნისტური რეჟიმის დაცემის შემდეგ რელიგიური თავისუფლება აღდგა და ორდენმა აღორძინება დაიწყო. დღეს თექეები კვლავ გახსნილია და ბექთაშიას თემი აგრძელებს თავისი ტრადიციების შენარჩუნებას. დღესდღეობით ალბანეთში ბექთაშიას ორდენი ათწლეულების განმავლობაში დევნისა და ნგრევის შემდეგ აღდგენას იწყებს. ისინი აგრძელებენ თავიანთი უნიკალური ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის რელიგიურ და კულტურულ ცხოვრებაში (https://www.Sarakuehn .com/the-albanian-speaking-bektashi-order-of-dervishes21/08/ 20254: 03).

დასკვნა

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ თბილისში მცხოვრები სუფიები ბექთაშიას თარიქათს მიეკუთვნებოდნენ და დავით აღმაშენებლის მიერ ქალაქის შენარჩუნებაში უდიდესი მონაწილეობა მიიღეს, ან ყოველ შემთხვ-

ევაში მეფეს ხელი არ შეუშალეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანთელავა, ი. (1991). *დავითისა და თამარის სახელმწიფო.* თბილისი.

გაბაშვილი, ვ. (1966). *ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან.* თბილისი.

გაბაშვილი, ვ. (1981). *საქართველოს ქალაქები XI – XII საუკუნეებში.* მეცნიერება.

გელოვანი, ნ. (2021). *თბილისის მუსლიმური თემი (1801 – 1917).* თბილისი.

გურეშიძე, მ. (2024). *ჰაჯი მურატი - ჩრდილო კავკასიელი რინდი.* აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე. ტომი 7. ნომერი 2. https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/8275/8252

დრანსე, ა. (1978). *შამილის ტყვე ქალები.* „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.

თბილისის ისტორია. (1990). *თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე.* ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. „მეცნიერება“.

ლორთქიფანიძე, მ. (1963). *ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება.* თბილისი.

მარგიშვილი, ს. (2006). *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ: ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ.* თბილისი.

მესხია, შ. (1982). *საისტორიო ძიებანი. ტომი I.* მეცნიერება.

მეტრეველი, რ. (1990). *დავით IV აღმაშენებელი: ეპოქის სოციალურ - ეკონომიკური და პოლიტიკურ - კულტურული ისტორიის მიმოხილვა.* თბილისი.

მეტრეველი, რ. (2009). *დავით აღმაშენებელი - Davit the Builder.* თბილისი.

მეტრეველი, რ. (2018). *დავით აღმაშენებელი.* პალიტრა L.

სამუშია, ჯ. (2015). *დავით აღმაშენებელი.* პალიტრა L.

სანიკიძე, გ. (2025). *ბიზნესი მე-19 ს-ის მიწურულისა და მე-20 ს-ის დასაწყისის თბილისში (თბილისში გამომავალ ფრანგულ ჟურნალში "Le Caucase illustré" განთავსებული რეკლამების მიხედვით).* აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე. ტომი 8. ნომერი 1. https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/9079/8975

ჯაველიძე, ე. (2010). *ფუთუვეთი სულიერ - რაინდული ძმობა.* თბილისი.

ჭიჭინაძე, ბ. (2022). *ევროპული წყაროები პრესვიტერ იოანეს (დავით აღმაშენებლის) და სხვა ქართველი მონარქების შესახებ: (ახალი მასალების მიხედვით).* თბილისი.

Asadov, F. (2024). *Silk Road in the aftermath of Arab conquest: Trade routes traversing Azerbaijan.* აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე. ტომი 7. ნომერი 1. https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/7794/7739

Гордлевский, В. А. (1928). Дервиши Ахи Эврана и цехи в Турции. Издательство Академии Наук СССР. Ленинград.

Кныш, А. Д. (2004). Мусульманский мистицизм краткая история. Москва – Санкт-Петербург „Диля".

ТРИМИНГЭМ, ДЖ. (1989). СУФИЙСКИЕ ОРДЕНЫ В ИСЛАМЕ.

Яндаров , А.Д. (1975). *Суфизм и идеология национально-освободительного движения.* Алма-Ата.

საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი-1438, აღწერა-1, საქმე-394.
საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი – 1462, აღ – 1, დოკ – 65.
საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი - 1438, აღ - 1, საქმე - 441.
ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი. (1999). თბილისი.
file:///C:/Users/user/Desktop/M_1991.pdf
https://www.sarakuehn.com/the-albanian-speaking-bektashi-order-of-dervishes
https://krotov.info/history/19/57/laviss_52.htm
https://www.britannica.com/topic/Bektashi
https://www.nytimes.com/2024/09/21/world/europe/albania-tirana-muslim-state-bektashi.html